საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 6 22 0000323856

29/03/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს,
ბატონ ვლადიმერ მგალობლიშვილს

ბატონო ვლადიმერ,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, 2022 წლის 18 მარტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან N09-02-16/125 (სამინისტროში რეგისტრ. N282889) წერილით გადმოიგზავნა თქვენი სადეპუტატო შეკითხვა 2017 წლის 8 დეკემბრიდან გაცემულ გრანტებთან დაკავშირებით.
სადეპუტატო შეკითხვის პასუხად გაწვდით ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განათლებისა და კულტურის სფეროში გაცემულ გრანტზე.
ამასთანავე, გაცნობებთ, რომ გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის გრანტის გაცემის შესახებ ბრძანების პროექტები წარდგენილი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის N3 დადგენილების შესაბამისად.

პატივისცემით,

ჯემალ სურმანიძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

6015 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
ტელ./ფაქსი: 0422 245370
www. moecs.ge

№4 L. Gudiashvili street, Batumi 6015
Tel./Fax: +995 (422) 245370
www. moecs.ge